საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 27-03
22/01/2025

“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მედიცინა”, ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "ეკოლოგია’’, ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები’’, „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“, „ფიზიკა და ასტრონომია’, 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ” რექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის N2168-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, ელენე ჟურავლიოვას 2025 წლის 22 იანვრის N653-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მედიცინა”, ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "ეკოლოგია’’, ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები’’, „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები“, „ფიზიკა და ასტრონომია’, 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ” რექტორის 2024 წლის 31 დეკემბრის N2168-03 ბრძანების მე-8 პუნქტით განსაზღვრულ მეშვიდე დანართში და დანართი 7 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი